საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/23

20 აგვისტო 2013 წ. ქ. ბათუმი

2013-2014 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-5 მუხლის მე-8 - მე-11 პუნქტების, 29-32 მუხლების, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 ივლისის №83 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2013 წლის 20 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35; მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახური; ოთახი №28, ტელ.: 27 64 57; მობ.: 577 42 71 30.

2. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (სპეციალური ფორმა);
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);
დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);
ზ) მაგისტრანტობის კანდიდატის ანკეტა (დანართი 2).

3. მისაღები გამოცდები ჩატარდეს ბსუ-ის ბიბლიოთეკაში შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ნინოშვილის 35.

ა) მისაღები გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2013 წლის 16 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი; II ცვლა - 13^{00} საათი; მესამე ცვლა $16.^{00}$ საათი)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2013 წლის 16 - 18 სექტემბერი ბსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2013 წლის 19 სექტემბერს.

ბ) მისაღები გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2013 წლის 20 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 13^{00} საათი; 16^{00} საათი).

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2013 წლის 20-22 სექტემბერს ბსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2013 წლის 23 სექტემბერს.

გ) რანჟირების დოკუმენტი გამოქვეყნდეს 2013 წლის 24 სექტემბერს;

4. გამოცდებზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

5. დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

6. 2013 წლის 25 სექტემბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

7. მეცადინეობა მაგისტრატურაში დაიწყოს 2013 წლის 01 ოქტომბერს.

8. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებზე და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ა. ბაკურიძე